ნინო ფეტვიაშვილი
რუსული ენის ექსპერტ-კონსულტანტი
სსიპ ,, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი რუსულ ენაში

მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა უპირველეს ყოვლისა გულისხმობს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და წახალისებას.
ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **რუსული ენის** მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას. სქემის მიხედვით დადგენილია სამოდელი გაკვეთილის ტიპებიც,
ეს არის:
1. ინტეგრირებული გაკვეთილი;
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
4. ინოვაციური გაკვეთილი.

გთავაზობთ 4-საათიან მასტერკლასს. მასტერკლასის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება სამოდელო გაკვეთილების ნიმუშები საბაზო-საშუალო საფეხურის **რუსული ენის** მასწავლებლებისთვის .
გაკვეთილის თემა შერჩეული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების შესაბამისად. წარმოდგენილი საკითხები განიხილება სქემის ჭრილში. გამოყენებული იქნება ისტ-ის კომპეტენციები.

მასტერკლასის პირველ ეტაპზემასწავლებლებს წარმოვუდგენთ ორი ტიპის სამოდელო გაკვეთილს (დადგენილი ოთხი გაკვეთილიდან):

1. **პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;**
2. **გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი**

მასტერკლასის შედეგად:

მონაწილეები გაეცნობიან სამოდელო გაკვეთილებს და მათთვის პრობლემურ საკი თხებთან დაკავშირებით მიიღებენ რეკომენდაციებს.
ეს იქნება სამოდელო გაკვეთილის იმიტირება, რომლის შემდეგაც მონაწილეები გაანალიზებენ მას ორი პოზიციიდან - მოსწავლეების და მასწავლებლების.
პედაგოგებს მიეცემათ რეკომენდაციები სამოდელო გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებით.